საშუალო, დიდის ძუძუი, არ გაიცვლების ხვაზედა...

ზუგდიდი

1993
ხუთშაბათი
19
აგვისტო
№33 (10624)
ფასი 10 კუპონი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ზარი დაირეკება

სულ ცოტა დარჩა სასწავლო წლის დაწყებამდე.

როგორც ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა განათლების განყოფილების გამგის მოადგილემ გ. გელენავამ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ზუგდიდში სწორედ პირველ სექტემბერს დაირეკოს პირველი ზარი.

თითქმის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ერთდროულად დაიწყო და მიმდინარეობს შესაკეთებელი სამუშაოები. უკვე მწყობრშია საქვაბე მეურნეობები (ქვანახშირის სიმცირის გამო მისი შეცვლა გათვალისწინებულია შეშით).

სერიოზულ პრობლემად რჩება სკოლის შენობების შემინვა და... სახელმძღვანელოების უქონლობა. დიახ, მიღებულია სასწავლო პროგრამები სერიოზული ცვლილებებით, (რომლებიც უკვე გადაეგზავნა სკოლებს) მაგრამ იგვიანებენ ახალი წიგნები.

ჯერ კიდევ გაურკვეველია ჩატარდება თუ არა მასწავლებელთა კონფერენციები, თუმცა, როგორც გ. გელენავამ განაცხადა, ამას ვადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან განათლების განყოფილება ზაფხულის ყოველი თვის დასასრულს ოფიციალურ შეხვედრას აწყობდა სკოლის დირექტორებთან.

როგორც ირკვევა, სასწავლო წლის დაწყების წინა დღეები დაძაბული და დატვირთული იქნება ქალაქის საგანმანათლებლო სისტემის მუშაკებისთვის... დარწმუნებული ვართ, ჭეშმარიტი ზუგდიდელები დაინტერესდებიან მათი პრობლემებით და დახმარების ხელს გაუწვდიან. როგორც ეს დროულად გააკეთეს ქალაქის საფინანსო განყოფილებამ (გამგე კ. წურწუმია) და სამეგრელოს აღორძინების ფონდმა (თავმჯდომარე ს. ლაგვილავა).

ღირდა კი?

წელიწადი შესრულდა ომის დაწყებიდან!..

არაზუსტი მონაცემებით დაღუპულთა რიცხვმა ათიათასს გადააჭარბა (ბევრი მათგანი დღემდე დაუმარხავია)!

ათასობით ადამიანი დასახიჩრდა და პოტენციური ხეიბარია!

ათასობით ადამიანი უსახლკაროდ, ჭერის გარეშე, ღია ცის ქვეშ დარჩა!..

არამარტო შენობა—ნაგებობები, დაინგრა ქალაქები, პირისაგან მიწისა აღიგავა სოფლები!

...და რაც მთავარია, საქართველომ ადამიანებთან ერთად დაკარგა ჩვენი წინაპრებისა თუ თანამედროვეების სისხლით გაპოხილი... მიწა!!!

აფხაზს უჭირს ქართველისთვის თვალში ჩახედვა, არც ქართველს ეადვილდება მისთვის სალმის თქმა.

ხელისუფლებას ომი დამთავრებულად მიაჩნია(?!).

შედეგები ბუნდოვანია და... შემაშფოთებელი...

რა მივიღეთ? ღირდა კი ამდენ მსხვერპლად?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებიდან

შევარდნაძის ხელისუფლებამ განწირა აფხაზეთი

სოხუმში ჩატარდა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეკრება. დღის წესრიგში იდგა აფხაზეთში შექმნილი რთული ვითარება, სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების განხილვა, სახელმწიფო მეთაურისადმი ნდობის საკითხი. კრება გახსნა აფხაზეთის ხსნის კომიტეტის წევრმა როდიონ შენგელიამ. მან გაანალიზა რეგიონში შექმნილი მწვავე საზოგადოებრივ—პოლიტიკური ვითარება. აღნიშნა, რომ დღეს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ადამიანი სისხლისღვრის შეჩერების მომხრეა, მაგრამ სოჭში დადებული ხელშეკრულება მიუღებელია, ქართველი მხარე გაუმართლებელ დათმობებზე წავიდა.

მოხსენებით გამოვიდნენ: საქართველოს მრგვალი მაგიდის წევრი, ჰელსინკის კავშირის ცხუმ—აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ავთანდილ დავითაია, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვლადიმერ მირცხულავა,, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, დოცენტი ჯემალ გამახარია, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი დიმიტრი ქებურია, მოძრაობა „ჭყონდიდელის“ ვიცეპრეზიდენტი სერგო საჯაია, ექიმი თენგიზ ბურღაშვილი, საზოგადოების წარმომადგენლები.

გამომსვლელებმა დაგმეს ომის უღირსი დამთავრება, რუსეთის უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში.

ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში ვითარების ნორმალიზაციისათვის აუცილებელია კანონიერი პრეზიდენტის დაბრუნება. კრებამ მიიღო რეზოლუცია.

„საქართველოს სამრეკლო“.

„რუსი მოდის“

ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების მიღწევის სრულყოფისათვის მოწინააღმდეგემ კიდევ ერთი ახალი პირობა წაუყენა ქართველებს. აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას კომენდატურები, რომლებსაც სათავეში რუსი ერთვნების პირები ჩაუდგებიან.

ვეჰვობ, ქართულმა მხარემ წინააღმდეგობა გაუწიოს ამ წინადადებას.

დიახ, მოდის რუსი, ადრე თუ შეფარვით, ახლა უკვე აშკარად ნიღაბახსნილი, გამარჯვებული, უძლეველის დამცინავი ღიმილით. ძალიან მალე, ალბათ, შავი ზღვის საუკეთესო დასასვენებელ სახლებში ძველებურად (მაგრამ უფრო შინაურულად) მოილხენს და გალაღდება.

საქართველოში კი, უფრე სწორად ერთ მუჭა ქართულ მიწაზე, ქართველებს ლტოლვილები ჰქვიათ და საკუთარი ჭერის უნუგეშო ნატვრაში ცივი, სუსხიანი და მშიერი ზამთარი ეპარებათ.

ღმერთმა გამძლეობა მოგცეს, ქართველო!

კომბინატი, პროგლემები

ზუგდიდის ექსპერიმენტულ ჩაის საწნეხ კომბინატს (დირექტორი ნ. გულუა, მთავარი ეკონომისტი ა. ოუჯავა), ამ ძნელბედობის ჟამს არცერთი დღით არ შეუწყვეტია მუშაობა. მართალია, დღეს კომბინატში მხოლოდ ერთი ცვლაა დასაქმებული, მაგრამ პრობლემათა მოგვარებით, სრულ დატვირთვაზე გადასვლით, დიდი ეკონომიური ეფექტია მოსალოდნელი.

რომ დავაკონკრეტოთ: აქ უშვებენ როგორც მწვანე აგურა ჩაის, ასევე დაფასოებულ შავი ბაიხის პროდუქციას.

დიდძალი მომხმარებელი ჰყავს აგურა ჩაის, იქნება ეს დაღესტანი,, ბურიატეთი; ყაზახეთი, კრასნოიარსკი, ტულა თუ სხვა, რომელთაც წელს მიეწოდათ 330 ტონა მწვანე აგურა ჩაის პროდუქცია, არადა სრული დატვირთვით—მათ შეეძლოთ ეწარმოებინათ 2.000 ტონაზე მეტი პროდუქცია.

ინდოეთის ფირმასთან ერთად

თითქმის ორი წელია წარმოებისათვის ნედლეული არ მიუწოდებია დასავლეთის რეგიონის ჩაის ფაბრიკებს. ცდება აგრეგატები, ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად იმსჯელეს კომბინატის სპეციალისტებმა, გამონახეს რეს ურსები და ადგილზევე ააგეს ლაო ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკა, რომლის მშენებლობა დაიწყო წელს და დამთავრდება სეზონისათვის, ძირითადში ოქტომბრის თვისთვის, როცა იწყება ლაო ჩაის დამზადება. ამ ჟამად ფაბრიკაში ამონტაჟებენ მანქანა—დანადგარებს, მომდინარეობს ხაზების გამართვა. პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ეკიდებიან საქმეს ინჟინერი ამირან ფიფია, ტექნიკური განყოფილების უფროსი ზურაბ ჯიქია, მთავარი ენერგეტიკოსი გია კანკია, მთავარი მექანიკოსი ოთარ ხუფაცარია და სხვანი.

ლაო ჩაის კრეფასა და ტრანსპორტირების საქმეში არსებული პრობლემების მოხსნის მიზნით გაფორმდება ხელშეკრულებები ფაბრიკასა და მწარმოებელ ორგანიზაციათა შორის.

სამომავლოდ კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ინდოეთის ერთ—ერთ ფირმასთან ერთობლივად დაამონტაჟოს გრანულირებული ჩაის ხაზები, ეჭვი არ არის ინდური ტექნოლოგიით დამუშავებულ ქართულ ჩაის არ ეყოლება კონკურენტები.

სულ უფრო იზრდება მოთხოვნები შავი ბაიხის პროდუქციაზე, მაგრამ ნედლეულის ნაკლებობის გამო ვერ სრულდება სახელმწიფო დაკვეთები. წინა თვეებთან შედარებით ბოლო ორ თვეში უკეთესი მდგომარეობაა. მიღებული ნედლეულით გამოშვებულია და დამკვეთებს მიეწოდათ 45 ტონა უმაღლესი ხარისხის შავი ბაიხის ჩაი. პროდუქციის გამოშვება გრძელდება.

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, კომბინატმა ნახევარი წელი მოგებით დაამთავრა და მან 18 მილიონი შეადგინა.

დღის წესრიგშია მუშამოსამსახურეთა სოციალური დაცვა, აწარმოებენ პროდუქციის ბარტერულ გაცვლას სურსათზე, მუშა—მოსამსახურეთა ერთჯერადი უფასო კვებისათვის თვიურად იხარჯება მილიონ შვიდასი ათასი მანეთი.

საქმისადმი კომპლექსური მიდგომით, კომბინატს შეუძლია იმუშაოს სრული დატვირთვით, აამაღლოს ეკონომიური ეფექტი.

ბ. აბულაძე.

ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

ნინო ფიფია ზუგდიდელია, ფილოლოგი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში“ რედაქტორად. 1991 წლიდან იყო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, 1998 წლიდან ქალაქის მესამე საშუალო სკოლის დირექტორია.

—სკოლა და ეროვნული მოძრაობა, როგორ ათავსებთ ამ ორ ცნებას ერთმანეთში.

—სკოლა განუყოფელია ეროვნული მოძრაობისაგან. მათ კავშირს შორეულ წარსულში აქვს ფესვები. დაუვიწყარია ქართველ გიმნაზიელთა ბრძოლა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის, მათი თავგანწირვა, გაბედული გამოსვლები. ასეა დღესაც. სკოლა განზე ვერ განუდგება იმ პროცესებს, რომელიც დღეს ჩვენს ირგვლივ ხდება. ეროვნული მოძრაობის ტალღა ისეა აზვირთებული, მის მიმართ გულგრილი ვერავინ დარჩება.

—დრო ელვის სისწრაფით მიდის. თაობები თაობებს ცვლიან. ჩვენ 50-60—70 —იანი წლების მოსწავლეებს ბევრ რამეზე გვწყდება გული. მაინც როგორი თაობა მოდის დღეს სკოლაში?

—ცხოვრება იცვლება. ახალი ეპოქა დგება. საზოგადოებას გამოეცალა ის ხაკვები იდეოლოგია, რასაც ადრე ემყარებოდა. სკოლა სახელმწიფოს მსგავსებაა. ისევე დაინგრა საბჭოთა სკოლა და მისი პრინციპები, როგორც სახელმწიფო., მადლობა ღმერთს, დაინგრა. მსხვრევა კი მოგეხსენებათ არის საოცრად რთული და მტკივნეული პროცესი. სკოლას ყველა შემთხვევაში კვლავ სჭირდება განახლება, ორგანიზება; სისტემაში მოყვანილი საქმიანობა, ისე როგორც სახელმწიფოს. მე მიმაჩნია, რომ სკოლაზე მნიშვნელოვანი რგოლი სახელმწიფოს არა აქვს.

ჩემს თაობას ჰქონდა გულისწყვეტის საფუძველი. მას შეგნებულად ბევრი რამ დაუშალეს, მიაძინეს, მაგრამ ქართული სული ძლიერია. იგი მაშინაც, როცა მერხზე „მეცნიერული კომუნიზმის“ სახელმძღვანელო ედო გადაშლილი მერხქვეშ „გველის პერანგს“ და დისიდენტთა ნაწერებს კითხულობდა. ის თაობა, რომელიც ახლა მოდის, თვალხილულია. მან ერთბაშად გადახარშა გონებაში სიამენიც და სიავენიც ამა სოფლისა, მას ღვიძავს მთელი შეგნებით და ვერცერთი ხელმოცარული პოლიტიკოსის შეგონებანი ვერ დააძინებს.

—ნინო, მოგეხსენებათ დღეს ზნეობის როგორი დეფიციტია. ურთულესია მისი ჩამოყალიბების პროცესი, აღზრდის პროცესი საერთოდ. ხომ არ გაჩნდა საშიშროება, რომ საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩება ეს პრობლემა.

ასეთი საშიშროების წინაშე ნამდვილად ვართ, იმიტომ რომ დღეს ბევრი რამისათვის არ გვცალია. ეროვნული მოძრაობის აღზევების წლებს (1989-1990) ზნეობრივი სიწმინდეც ახლდა. მისი დაქვეითება და სრული დეგრადირება იმ მოვლენებთან არის დაკავშირებული, რომელიც საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში მოხდა. ცეცხლითა და მახვილით განიდევნა ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება. ამ დიდი უკანონობის გამოძახილია ის მანკიერებანი ასე რომ გვაშფოთებს. ამ რისხვას ვერც სკოლა გადაურჩა. საქართველოში ხელისუფლების დამხობის პრეცედენტის დაშვება არ უნდა არსებულიყო, თორემ მომავალშიც არა ვართ დაზღვეული თუნდაც უნაკლო მთავრობის ხელყოფისაგან. აი, „დიდი პოლიტიკოსის“ დიდი შეცდომა. ლოზუნგებით ზნეობას ვერ გამოაჯანსაღებ, ამისათვის სიმართლე და პირადი მაგალითია საჭირო, რომელსაც სამწუხაროდ ნაკლებად ვაძლევთ მოზარდებს. სკოლა, ოჯახი და საზოგადოება ერთად უნდა მართავდეს ამ ურთულეს პროცესს. რომელი ოჯახი, სკოლა და საზოგადოება, რომელიც თვითონ არის ცხრა მოსაზრებად გაყოფილ-გაგლეჯილი?

—როგორ უყურებთ თქვენს დირექტორობას. შეძლებთ თქვენი ხელი დააჩნიოთ სკოლას?

იმ სკოლას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ წარსულში ცნობილი დირექტორი ჰყავდა ბატონი მირიანე ნარმანია. მაპატიოს მისმა სულმა, მაგრამ დღეს ისეთი უჩვეულო პრობლემების წინაშე დგას სკოლაც და განათლების სისტემა მთლიანად, ისიც ვერ შეძლებდა სასურველი შედეგებიის მიღწევას. ჩემი მუშაობა კოლექტივთან სრული ნდობით, ურთიერთგაგებითა და სიყვარულით მიმდინარეობს. ხელის რა მოგახსენოთ, მაგრამ სული და გული კი არავის მოაკლდება ჩემგან.

—ვინ არის თქვენთვის მოსწავლე—პიროვნება, აღსაზრდელი თუ შვილი?

—დრომ, ვითარებამ ძალიან ავნო ბავშვებს. გაკვეთილზე შესულს უფრო მეტი სევდიანი თვალები შემომცქერის. გაქრა მათი სახიდან უდარდელობა. დაიტვირთნენ. საშინელებაა გაფიქრებაც კი იმისა, მშიერი მოსწავლე გისმენდეს. ყოველი მათგანი ჩემთვის პიროვნებაა. მე მათ როგორც დიდს ისე ვესაუბრები. ძალიან იშვიათად ვარ ხელჩაქნეული. ყოველთვის, თვით უიდურესი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც მგონია, რომ ყველაფერი არაა დაკარგული და სითბოთი და სიყვარულით შეიძლება მათ გაუხეშებულ სულზე ზეგავლენის მოხდენა. ყველაფერმა ჩემი სიცოცხლის ზღვარზეც რომ გადაიაროს, რაღაცას მაინც შევძლებ მათი სულის გადასარჩენად. რაც შეეხება ვუყურებ თუ არა მათ, როგორც შვილს; უდიდესი ტკივილის შემცველია ეს შეკითხვა ჩემთვის. ჩემგან რაიმეს დგას სკოლაც და განათლების სისტემა მთლიანად, ისიც ვერ შეძლებდა სასურველი შედეგებიის მიღწევას. ჩემი მუშაობა კოლექტივთან სრული ნდობით, ურთიერთგაგებითა და სიყვარულით მიმდინარეობს. ხელის რა მოგახსენოთ, მაგრამ სული და გული კი არავის მოაკლდება ჩემგან.

—ვინ არის თქვენთვის მოსწავლე—პიროვნება, აღსაზრდელი თუ შვილი?

—დრომ, ვითარებამ ძალიან ავნო ბავშვებს. გაკვეთილზე შესულს უფრო მეტი სევდიანი თვალები შემომცქერის. გაქრა მათი სახიდან უდარდელობა. დაიტვირთნენ. საშინელებაა გაფიქრებაც კი იმისა, მშიერი მოსწავლე გისმენდეს. ყოველი მათგანი ჩემთვის პიროვნებაა. მე მათ როგორც დიდს ისე ვესაუბრები. ძალიან იშვიათად ვარ ხელჩაქნეული. ყოველთვის, თვით უიდურესი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც მგონია, რომ ყველაფერი არაა დაკარგული და სითბოთი და სიყვარულით შეიძლება მათ გაუხეშებულ სულზე ზეგავლენის მოხდენა. ყველაფერმა ჩემი სიცოცხლის ზღვარზეც რომ გადაიაროს, რაღაცას მაინც შევძლებ მათი სულის გადასარჩენად. რაც შეეხება ვუყურებ თუ არა მათ, როგორც შვილს; უდიდესი ტკივილის შემცველია ეს შეკითხვა ჩემთვის. ჩემგან რაიმეს

—როგორია თქვენთვის იდეალური სკოლა.

—იდეალურ სკოლაზე ოცნება კარგა ხანს განუხორციელებელი დარჩება. რამდენი წელი დასჭირდება იმ დანგრეულის აღდგენას და მერე იდეალურობისაკენ სწრაფვას იმ ტემპისა და ცხოვრების წესის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენში დამკვიდრდა. ჩვენ ამჯერად მხოლოდ სასწავლო პროცესს ვინარჩუნებთ. განადგურდა მატერიალურ—ტექნიკური ბაზა. ოთხი პიანინოდან სკოლას არცერთი არ გააჩნია. ამ მიზეზების გამო ვერ ტარდება ის ღონისძიებები, რომელიც სკოლას ახალისებდა. რა გვემღერება, რა გველექსება. რა გვეკონფერენცია და ა. შ. ნგრევის, ძარცვის რაღაც ბარბაროსული მანია მოგვედო. ახლოვდება ახალი სასწავლო წელი და რით ვემზადებით? ლოდინით მხოლოდ. ყოველ დღე დარბეული სკოლა მხვდება. გავრბივარ შინაგან საქმეთა განყოფილებაში და იმას ვერ მივაღწიე რომ ფორმიანი კაცი გამოჩენილიყო სკოლის ეზოში. ახალი სასწავლო წლიდან მეცამეტეებს დაიწყებენ მე—5 კლასების ბაზაზე დაკომპლექტებული ჰუმანიტარული, ტექნიკური და ჩვეულებრივი ჯგუფები. რელიგიის სწავლებას შემოვიღებთ პირველი კლასიდანვე. იქნებ ღმერთისაკენ შემობრუნებამ კეთილად იმოქმედოს. მასწავლებლის ხელფასი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ მხრივ ალბათ რადიკალურად უნდა შეიცვალოს ყველაფერი. დიდი პრობლემაა სახელმძღვანელოები. ფასიანი სკოლები პროგრესული ნაბიჯია განათლების სისტემაში, მაგრამ დღეს, ამ პირობებში ნაადრევია.

—რაზე ოცნებობთ, რას ინატრებდით, რას უსურვებდით ჩვენი ქალაქის მოსწავლე—ახალგაზრდობას.

—მეგონა ოცნება მაინც შემრჩა ფერადი, თურმე ისიც გამმუჭნებია. ვოცნებობ ციხის მსგავსად სკოლის რკინის კარებზე, გისოსებზე, აყრილი პარკეტის ჩაწებებაზე; დანგრეული კარების შეკეთებაზე; სახურავიდან ჩამოსული წვიმის გადაღებაზე, უსახური კედლების შეთეთრებაზე. ნეტავ თუ წაიკითხავს ამ ინტერვიუს ჩვენი სკოლის საშეფო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბატონი ზურაბ გოგოხიანლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხნის დირექტორი. მას აქვს შანსი სამუდამოდ დაამახსოვროს თავი ამ ძნელბედობის ჟამს ჩვენი სკოლის ასობით მოსწავლესა და მათ უკან მდგომ ულამაზარ არმიას თანაქალაქელებისას. ჩვენ ვიცით, რომ მათაც არ ულხინთ, მაგრამ შეუძლებელი უნდა შევძლოთ ჩვენი მომავლის საკეთილდღეოდ. დახმარებისათვის გზა ხსნილი აქვთ ჩვენი უბნის მცხოვრებ ყველა ქველმოქმედს, ყველა ბიზნესმენს. დამიჯერეთ, ყველაზე დიდი ბედნიერება სიკეთისა კეთებაა. აჩუქეთ სიხარული შვილებს, შვილიშვილებს და თუ თქვენ არცერთი არა გყავთ ჩვენს სკოლაში მითუმეტეს, იჩქარეთ. ამით კომპენსაციას გაუკეთებთ თქვენს მარტოსულობას.

ვინატრებდი საქართველოს გამთლიანებას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ერთნაირად აზროვნებას, გულგრილობასა და სიძულვილზე უარის თქმას. სიყვარულს მოყვასისადმი და მტრისადმიც. ახალგაზრდობას ვუსურვებდი ქართველობის —ამ უმძიმესი და უსათუოესი ტვირთის ღირსეულად ტარებას.

ესაუბრა მარინე ჯონჯუა

ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

„თუ შეიძლება დედას დაგიძახებთ“

საქართველო თავის—უფალი უნდა გახდეს

რწმენას ძალა აქვს უძლეველი, ამ რწმენამ უნდა გადაგვარჩინოს, ქართველ კაცს ყოველთვის უხდებოდა მამულის დაცვა. როგორც ,ამირანი—საქართველოს სიმბოლო —ჯაჭვის გაწყვეტას ელამობდით ყოველთვის. ახლაც იმპერიის ჯაჭვითა ვართ დაბორკილი. წელიწადი გავიდა, რაც აფხაზეთში ომი დაიწყო. დაიღუპა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობა. მათი აჩრდილები დადიან ქალაქებში, როგორც გაფრთხილება: კმარა სისხლი და ხოცვა...

ხევდაჩამდგარი თვალები მისჩერებია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებიც ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავ ამბებს აცხადებენ. იბნევა ხალხი, რომელიც ეკონომიური სიდუხჭირის ზღვარამდეა მისული. არის შეთანხმება; ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ღმერთმა ქნას; რომ ომი შეწყდეს; მაგრამ არა რუსეთის იმპერიასთან ამირანის შთამომავალთა კომპრომისის ხარჯზე. საქართველო თ ა ვ ი ს —უ ფ ა ლ ი უნდა გახდეს, ე. ი. თავისუფალი.

უფალმა ინებოს ყოველივე. გონიერებამ და რწმენის ძალამ უნდა გადაგვარჩინოს.

მ ჯელია.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ

მეგრული სიმღერაც სევდიანია

ბევრს წუწუნებენ უფროსები: ახალგაზრდობაში ინტელექტის დეფიციტი იგრძნობა, როგორ იცხოვრებენ? როგორ ააშენებენ? არა, დალუპულები ვართო...

ვფიქრობ, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია მათი შიში. ახალგაზრდობა დღეს ისეთი ლაღი, შემართული და მოუდრეკელია როგორც არასდროს.

№ 1 ჩაის ფაბრიკის დახარისხების საამქროს ცვლის უფროსს ნინო ღურწკაიას გაგაცნობთ მის სახელთან, მართალია, არ არის დაკავშირებული დიდი მიღწევები არც მეცნიერებაში, არც სპორტში და ხელოვნებაში, მაგრამ თავისი ცხოვრების წესით მაინც გამოირჩევა ბევრისგან. უფრო სწორად ისეთია, როგორც უნდა იყოს ღირსეული ქართველი მოქალაქე 1991 წლიდან მუშაობს ჩაის ფაბრიკაში. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი წარჩინების დიპლომზე დაამთავრა. საქმიანი, გულისხმიერი გოგოა, მითხრეს მისმა კოლეგებმა. ჩვენი ნაცნობობაც საამქროს მუშებზე საუბრით დაიწყო: შრომობენ, ფუსფუსებენ, მაგრამ ცხოვრება მაინც უჭირთ—დაიჩივლა,—დღევანდელი ანაზღაურება მცირედაც ვერ ამსუბუქებს მათ საზრუნავსო. და იქვე, ფიქრიანად და რაღაც საოცარი პატივისცემით მოიხსენია ნინომ საწარმოს დირექტორი გენო გოგოხია—რომ არა მისი მცდელობა, ათეულობით ადამიანს ფაბრიკიდან წასვლა მოუწევდა და ლუკმა პურს დაკარგავდნენო.

ნინო ღურწკაია ჯერ სულ ახალგაზრდაა, მაგრამ გამოცდილი ქალივით მიადევნებს თვალყურს ცხოვრების სიავკარგეს. მისი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე დინჯი, აუღელვებელი და პირუთვნელია არც პოლიტიკისადმია გულგრილი სამეგრელოს კი, ოდითგანვე და მრავალგზის ნატანჯ, ნაგვემ მხარედ მიიჩნევს და ამის მაგალითად თვით მეგრული სიმღერების საოცარ სევდიანობაზე მიუთითებს.

ბუნებით თბილ ახალგაზრდასთან შეხვედრას თავისებური ანდამატი ახლავს. თითქოს ერთბაშად „გადავქექეთ“ საუბარში ყოფითი თუ სხვა, ათასგვარი წვრილმანი პრობლემები. ბევრისგან განსხვავებით ნინო, ხელჩაქნეული არ არის ქვეყნის მომავალზე. მხოლოდ, კუჭიდან გამოხედვას დროულად უნდა გადავეჩვიოთ, საკუთარ თავზე ავმაღლდეთ და მართალი სიტყვა ვთქვათო...

საქართველოს გადაარჩენენ ასეთი ახალგაზრდები.

უფროსები კი მაინც წუწუნებენ? ნუ წუწუნებენ...

სწორეგა ჭეშმარიტ ფასეულოგეგზე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კულტურა წარმოადგენს ადამიანებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბების საშუალებას და ემსახურება მათ გათვითცნობიერებას. იგი ადამიანების აზროვნებას წარმართავს იმ საკითხებისაკენ, რომლებიც საჭიროოოოა ყოველი ერისათვის. წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცდებით შევეხოთ რამდენიმე საწინააღმდეგო შეხედულებასაც, რომელიც ცხადად იკვეთება დასავლეთის კულტურის ზოგიერთ თვალსაჩინო მოღვაწის წარმოსახვაში. განსჯის ობიექტად წარმოჩინდება მტკიცება იმის შესახებ, რომ კულტურა მხოლოდ ეროვნული ფენომენია და რამდენადაც ყოველი ხალხის ცნობიერება არსებითად ერთმანეთისგან განირჩევა, იმდენად, ბუნებრივია, განსხვავდება მათი კულტურაც. მიაჩნიათ აგრეთვე ისიც, რომ კულტურა უპირველეს ყოვლისა უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულად ამა თუ იმ ერს და ხელს უწყობდეს სახელმწიფოს პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებას. ამ შეხედულებების ავტორთა თქმით, კულტურა პირველ რიგში გამოხატავს კაცობრიობის სულიერი და მატერიალური ფასეულობების საფუძველს, მაშასადამე— ყოველივე პროგრესისა და პოლიტიკური ძალაუფლების ამოსავალ წერტილს;

ზემოხსენებული საკითხის განსახილველად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ვიცოდეთ, თუ როგორ ვითარდება კულტურა, რა მოტივით ხდება ერთმანეთის ბედით დაინტერესებული ადამიანების ურთიერთშეკავშირება და მათი დაინტერესება კულტურის ამა თუ იმ პრობლემის მიმართ. კულტურის სფეროში თითქმის ყოველთვის შეიძლება ჭეშმარიტისა და ყალბის ერთმანეთისგან გარჩევა. ამასთან, საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის სამართლიანი, რა უსამართლო, განსაზღვრავს არა რწმენა, წარმოშობა რასობრივი კუთვნილება, არამედ თვით ბუნება, ან თუ პირდაპირ ვიტყვით— აბსოლუტი და არა ყოველთვის ადამიანი.

ახლა ჩვენ შევეხებით იმ საკითხს, თუ რატომ თამაშობს კულტურული თანამშრომლობების, ჭეშმარიტი ადამიანები დამოუკიდებლობების ერთმანეთთან შერწყმის ფაქტორი, ზოგჯერ უმნიშვნელო როლს, როცა საქმე ეხება ხალხთა შორის მტრობის მოსპობასა და ომის შეწყვეტას.

აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის მომენტი, რომ საერთოდ კულტურა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთს და ამა თუ იმ ქვეყანაში ადამიანების არც თუ ისე დიდი ჯგუფია ჩართული ამ სფეროში. პოლიტიკას კი უფრო მნიშვნელოვანი ძალები განსაზღვრავენ: ხალხის ფართო მასების მოძრაობა, მათი ეკონომიკური მდგომარეობა, ტრადიციის ერთგული ადამიანების მცირე გუნდის ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ისმება კითხვა: შეუძლია კი კულტურას ადამიანებსა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების დამკვიდრების მიღწევა? დიახ, მას შეუძლია მოიყვანოს მოქმედებაში უზარმაზარი სულიერი ძალები, მაგრამ ეს ყველაფერი ქაოსამდე მიგვიყვანს, თუ იგი არ იქნება ჭკვიანურად რეგულირებული.

დავბრუნდეთ რამდენიმე ასწლეულით უკან. შუა საუკუნეების დასასრულს კაცობრიობამ დაინახა, რომ ხილული ქრისტიანული სინამდვილის გარდა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია ღვთაებრივი გულახდილობა, არსებობს მატერიალურ ექსპერიმენტში გამომჟღავნებული სხვა რეალობაც. იგი წარმოგვიდგება „ობიექტური“ სინამდვილის სახით, რომელსაც აღვიქვამთ ბუნების კვლევის პროცესში გრძნობის ან ექსპერიმენტის საშუალებით. მაგრამ სინამდვილის ახალ სფეროში შეღწევისას აზროვნების ზოგიერთი ძირითადი ფორმის გამოვლინება უცვლელი რჩება; ქვეყნიერება შედგება საგნებისაგან, რომლებიც არსებობენ სივრცეში და იცვლებიან დროში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კანონზომიერებებთან შეთანხმებით. გარდა ამისა, არსებობს სულიერი სამეფო, რომელიც მეტ ნაკლებად სარკესავით არეკლავს გარე სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ ამავე დროს ეს ყველაფერი წარმოადგენდა ახალი ეპოქის რეალობას, ქრისტიანული სინამდვილისაგან განსხვავებული, ბუნებისმეტყველების მიერ დახატული სურათი გამოხატავდა მსოფლიო ღვთაებრივ წესრიგს. ამ პროცესის მონაწილე ადამიანები, ხალხები, დაეჭვებულნი არსებული ცხოვრების სტილით, თავიანთი საქმეებითა და ქმედებებით, მაინც მყარ ნიადაგზე იდგნენ. სამყარო დროსა და სივრცეში უსასრულო იყო; გარკვეულწილად იგი ღმერთს ცვლიდა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში თავისი უსასრულობის წყალობით გვევლინებოდა როგორც ღვთაებრივის სიმბოლო.

მაგრამ სამყაროს შესახებ ამგვარი წარმოდგენა ჩვენს ასწლეულში უარყოფილ იქნა. მსოფლიო არენაზე პრაქტიკული მოღვაწეობის წინა პლანზე წამოწევამ, აზროვნების ძირითად ფორმებს დაუკარგა თავისი მნიშვნელობა. დრო და სივრცე ცდის საგანი გახდა, რითაც მიიჩქმალა მათი სიმბოლური მნიშვნელობა. კულტურაში თანდათანობით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სამყაროს ჩვენებური აღქმა არ შეიძლება იწყებოდეს მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული ცოდნისაგან. იგი რომელიმე უცვლელ კატეგორიაზე როდია დაფუძნებული. ყოველგვარი ცოდნა, შეიძლება ითქვას, უძირო უფსკრულს ზემოთ ნავარდობს.

კულტურის სფეროსა და ადამიანის ცხოვრებაში ამ განვითარებას უდავოდ შეესიტყვება ყოველნაირი ფასეულობების შეფარდების მზარდი შეგრძნება; თუნდაც რამდენიმე წლის წინათ დაბადებულმა ასეთმა შეგრძნებამ სასოწარკვეთილების მარადიული კითხვით „რატომ?“ ბოლოს და ბოლოს ძალზე ადვილად შეიძლება მიიყვანოს ინდივიდი სკეპტიციზმამდე. ამნაირად ვითარდება ნიჰილიზმი და ურწმუნოება. აღნიშნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ცხოვრება წარმოგვიდგება უაზრობად, ან უკეთეს შემთხვევაში თავგადასავლად, რომელიც თავს გვატყუებდა ჩვენი ქმედებებისგან დამოუკიდებლად. ნიჰილიზმის ყველაზე უარესი ფორმა კი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილშია გავრცელებული, არის ილუზიონისტური ნიჰილიზმი. იგი ნაძალადევი შთაგონებითა და ყალბი ილუზიითაა ბოლომდე გაჯერებული.

რაც არ უნდა მოხდეს, კაცობრიობა უახლოეს ათწლეულებში მაინც შეინარჩუნებს ცხოველ ინტერესს ცოდნის, შემეცნების, თუ კულტურის მიმართ. კულტურის პრაქტიკული შედეგებითა თუ ძალაუფლებისათვის ბრძოლის მიზეზით, ეს სულისკვეთება თუნდაც გარკვეული დროით დაიჩრდილოს, საბოლოოდ იგი მაინც აკავშირებს და არიგებს ერთმანეთთან სხვადასხვა, ეროვნების ადამიანებს. დედამიწის სხვადასხვა ნაწილში გაფანტული ადამიანები მაშინ გახდებიან ბედნიერნი, როცა დაიპყრობენ ცოდნის, კულტურის ახალ, ჯერ კიდევ მიუღწეველ მწვერვალებს.

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის კულტურა იწყება იქ, სადაც მყარდება მჭიდრო კავშირი პრინციპული პრობლემების დაყენებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის. თავის დროზე, გაცილებით უფრო ადრე, ეს პრობლემები ძველმა ბერძნებმა საკმაოდ კარგად მოაგვარეს. რაც შეეხება ქართულ კულტურას იგი არც ერთ დროში დიდი ხნით არ გაყინულა, არ შემოზღუდულა ჩინური კედლით და არ გაუწყვეტია კავშირი სხვა ერებთან. ჩვენი ხელოვნების, კულტურის საფუძველს, მაინც ქართული ტრადიცია წარმოადგენს. ჭეშმარიტი ქართველის ნამდვილად ერთ-ერთი აუცილებელი ამოცანა კულტურის აღორძინებაში მდგომარეობს. ყველაფერი ამ მიზნისაკენ უნდა იყოს გარკვეულწილად მიმართული: ეკონომიკა, პოლიტიკა, რელიგია.

ქართულმა კულტურამ თანაბრად უნდა აითვისოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების ჭეშმარიტი ფასეულობები. ეს ყველაფერი მაშინ იქნება მიღწეული, როცა უფრო ღრმად შევიგნებთ, გავიცნობიერებთ საკუთარ სულიერ თუ მატერიალურ რესურსებს და დავსახავთ გზებს ჰარმონიული თანამშრომლობისაკენ. ზუსტად არავინ არ იცის, თუ რას მოიტანს მომავალი და რომელი სულიერი ძალები იქნებიან მსოფლიოს წარმმართველნი, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, მზერა მაინც პროგრესულ ძალებს უნდა გავუსწოროთ.

ნუგზარ გულორდავა.

ბაზარი — ცხელი წერტილი

იქნებ გამოჩნდეს გულშემატკივარი?

სურსათით მომარაგების ცენტრმა დღეისათვის მთლიანად გადაინაცვლა ბაზარში. იგი კვებავს ქალაქს და ცხადია, უჭირს ასეთი დატვირთვა. თავისუფალი ვაჭრობის შემოღებამაც მოიტანა უამრავი თავსატეხი პრობლემა. ზოგ შემთხვევაში იგი უმართავიც ხდება.

მიუხედავად სათანადო ორგანოების თანადგომის (ზუგდიდის პოლიცია, გვარდია, გამგეობა), აქ სრულ წესრიგზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა (ბაზრის დირექტორი პორის ბულია) მუშაკებს. არ არის სრულყოფილად გამოყენებული ადგილობრივი რესურსები. იმის გამო, რომ არ ჰყავთ ღამის დაცვა და ბაზრის მუშაკები მორიგეობით იცავენ, დაუტვირთავია საწყობები, რის გამოც ბაზარს ეკარგება შემოსავლის 30-40 პროცენტი. ადრე ამ პრობლემას აგვარებდა და ბაზრის ტერიტორიას იცავდა არასაუწყებო ორგანიზაცია სათანადო ხეშეკრულების გაფორმების შემდეგ, დღეს კი... იქნებ გამოჩნდეს გულშემატკივარი, დაიცვას ბაზრის ტერიტორია და მიიღოს სათანადო ანაზღაურებაც, რისთვისაც მზადაა ბაზრის ადმინისტრაცია.

ვერ მოვიწონებთ თავს პროდუქციის სიუხვით, რომლის ძირითადი მიზეზი ცხადია ყველასათვის. გზა და ტრანსპორტი წყვეტს ამ საკითხს, მაგრამ შექმნილი სიტუაცია არ იძლევა საშუალებას გლეხმა დაბრკოლების გარეშე ჩამოიტანოს და გაყიდოს ნამეტი პროდუქტი, ეს კი ქმნის ფასების ზენიტამდე ზრდას. ცეცხლი უკიდია ხორცს, ყველს, ბოსტნეულს და სხვა, რომლის ფასების დარეგულირება ბაზრის დირექციას არ შეუძლია. ეს ასე იქნება მანამ, ვიდრე ბაზარს არ გამოუჩნდება კონკურენტები.

ბაზარში უგულებელყოფილია სანიტარული წესრიგი. არ იგრძნობა ქალაქად და რაიონში არსებული სათანადო სამსახურების თანადგომა. დღეისათვის აქ მხოლოდ ერთად-ერთი ვეტსამსახური თუ ასრულებს დანიშნულებას. არადა, როგორც არასოდეს დღეს სჭირდება ბაზარს სანიტარული დამუშავება —წესრიგი.

აქ მომუშავეთა განცხადებით— მათ არ უჭირთ დასუფთავების პრობლემა. ეს ადგილზევე გვარდება, მაგრამ ნარჩენების გატანის საკითხი, მიუხედავად იმისა, შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს ქალაქის კომუნალური მეურნეობის საწარმოო სამმართველო (უფროსი ნ. მალაშხია), კეთილმოწყობის კომბინატის (დირექტორი ვ. ჩარგაზია), კვლავ მოუგვარებელი რჩება. სიძნელეებს ქმნის ისიც, რომ ბუნკერებიდან სათანადო ტექნიკით (ამწეებით) კი არ იტვირთება ნაგვის მანქანები, არამედ ხელით. მთავარია ისიც, რომ თვით გამყიდველებმა სცენ პატივი გარემოს და შეეცადონ ბაზრის დანაგვიანებას კი არ შეუწყონ ხელი, არამედ წესრიგში მოიყვანონ ძს ადგილი, სადაც უხდებათ ვაჭრობა.

ბაზარში ადრე არსებული მესამე კარების გახსნამ განტვირთა ცენტრალური შემოსასვლელი, რომელიც დღეს ძირითადში დაკავებული აქვთ „ფულის გადამხურდავებლებს“. ხომ არ იქნებოდა ურიგო ბაზარში შემნახველ სალაროებს გაეხსნათ პუნქტები და ამით საშუალება მისცემოდათ მოქალაქეებს ფულის გადახურდავების შემთხვევაში შეეძინათ სასურველი საქონელი.

სრული უწესრიგობაა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც გამგეობის დადგენილებით გადაეცა ბაზარს, მაგრამ ადრე არსებულ ზუგდიდვაჭრობისა და სხვა ორგანიზაციების ფარდულებს დღეს დაპატრონებიან კერძო პირები, და ისინი არავითარ საფასურს არ იხდიან.

არის ერთგვარი სიახლე: ბაზრის წინამდებარე უგემოვნოდ მიყრილ-მოყრილი ჯიხურები შეიცვალა არქიტექტორულად გადაწყვეტილი სტანდარტული ჯიხურებით, რომელთაც გააჩნიათ დაცვის გარანტია. მოასფალტდა ტერიტორიის ნაწილი, ჭაბურღილის გათხრით ბაზარი უზრუველყოფილია სასმელი წყლით.

ასეთი და სხვა პრობლემების მოგვარება ცოტათი მაინც შეუცვლიდა მოქალაქეებს წამხდარ გუნება - განწყობილებას, როელთა შეხების ცხელ წერტილად კვლავ რჩება ბაზარი...

ბ. აბულაძე.

გვეხმარებიან უანგარიშოდ

მიუხედავად რიგი სიძნელეებისა, ზედაეწერის ჩაის ფაბრიკა მიმდინარე სეზონში სტაბილურად უშვებს პროდუქციას, რაც დადებითად მოქმედებს აქ დასაქმებული ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ფაბრიკის დირექციის (დირექტორი ჯუმბერ ბულია) უპირველესი საზრუნავია აქაურ მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაცვა, მატერიალური დახმარება. ამ მიზნით ახლახანს ფაბრიკის ფინანსური სახსრების ხარჯზე თითოეულს უფასოდ დაგვირიგდა 16 კილოგრამი პურის ფქვილი, 5 კილოგრამი ყველი, 5 კილოგრამი მზა ჩაი და სხვა პროდუქტი.

ფაბრიკის დირექცია, პროფკავში კვლავაც ცდილობენ აღმოგვიჩინონ ანალოგიური დახმარება და მხარდაჭერა ცხოვრების დუხჭირი პირობების შესამსუბუქებლად. ჩვენც მადლობის მეტი რა გვეთქმის.

დ. ზარანდია,
ე. კინტური,
თ. ბერულავა,
ფაბრიკის მუშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულო, ძალსა შენსა

შენ რომ არ იყო...

(ჩანახატი)

ვერ ითამაშებდა მაცაცო ასკინკილას. ვერ მოყვებოდა შოთიკო უფლისწულებზე, მფრინავ რაშებზე. ვერ შეერკინებოდა ამირანი ცხრათავიან დევებს. ვერ გასწევდა ყამარის მოსატაცებლად, ვერ დათვლიდა ვარსკვლავებს ფათერაკების მაძიებელი შენი გმირი.

მოიწყენდა, გაიბუტებოდა გეა.. დედამიწის ქალღმერთს მზე ვერ გაუბედავდა მოფერებას, ვერ უმღერებდა, ვერ დაბანდა პირს.

ზამთარი იმეფებდა. ძილად მიეგდებოდა სამყარო. გაიყინებოდა ბანცალა ბოჩოლა.

ვერ დადგებოდა გაზაფხული. ვერ მორთავდა, ვერ მოკაზმავდა მინდვრებს. იტირებდა ბებერი ბროწეული, იტირებდა, იტირებდა და გუბეს დააყენებდა.

ჩამუქდებოდა მთების ზოლი. შორს დაიჭერდა თავს ამაყი არწივი, სახურავის ღვარსადენს მობეზრდებოდა წვიმა.

გაქრებოდა ღიმილი „ჯოკონდას“ პორტრეტზე. ადამიანები ვერ მოიგონებდნენ, ვერ იტყოდნენ— „გახსოვს“? ვერ მოუსმენდნენ „ბეღურების ორკესტრს“. ვერ დათვრებოდნენ წითელგულიანი ყვავილები. ვერ დამთავრდებოდა ომი. ვერ დაბრუნდებოდა იმ უკარება გოგოს წეგულებულიც.

შენ რომ არ იყო ვერ გაიგებდნენ კანდამსკდარი ვერხვების ზღაპარს. მინავლდებოდა ცეცხლი. დარჩებოდა ნაცარი. მოიშლებოდა ფუძე. გაყვითლდებოდა მამის სურათი.

შენ რომ არ იყო, ვერ შედგებოდა „ყივჩაღის პაემანი“. მგოსანი ვერ აპატიებდა თვითმკვლელობას მეარღნეებსა და პოეტებს. ვერ დაწერდნენ ლექსებს აისბერგებზე და ფაციებზე. ვერ დაწერდნენ: „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“, „შენ უნდა ცისფერ ღრუბლებთან იწვე“. „უკვდავებისა წყაროო, ნადენო ოქროს მილითა“, ვერ დაწერდნენ „და თოვლზე ხტუნავს შენი სიცილი“. ვერ დაწერდნენ: „გაზაფხული შემოსულა, ლენ...

შენ რომ არ იყო, ვერ განვმეორდებოდით, ვერ გადავრჩებოდით, ვერ დავიბადებოდით ხელახლა.

შენ რომ არ იყო, მოკვდებოდა დრო. ერთ მშვენიერ დღეს დავიძინებდით და მოკვდებოდა დრო...

მ. ჯონჯუა.

ეს საინტერესოა

რამდენი ადამიანია დედამიწაზე?

გაეროს სამდივნომ გამოაქვეყნა ახალი მონაცემები მსოფლიოს მოსახლეობის შესახებ, რომელიც ამჟამად 5,1 მილიარდ კაცს შეადგენს. ეს რიცხვი ყოველწლიურად 1,7 პროცენტით იზრდება.

ყველაზე ჩქარი ტემპით იზრდება აფრიკისა და დასავლეთ აზიის მოსახლეობა —წელიწადში 2,5 პროცენტით. რაც შეეხება ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და რუსეთის ტერიტორიებს, აქ მოსახლეობის ზრდის ტემპი ყველაზე დაბალია —წელიწადში 1 პროცენტი. დედამიწის მოსახლეობის საშუალო ასაკი 23,1 წელია.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა პლანეტის სხვადასხვა რეგიონებში ძალზე განსხვავებულია. მაგალითად, თუ 1985-1990 წლებში აფრიკაში დაბადებული ადამიანი საშუალოდ 51,9 წელიწადს ცოცხლობს, ევროპელებისთვის, ამერიკელებისთვის, კანადელებისთვის და იაპონელებისთვის ეს მაჩვენებელი გაცილებით დიდია 75 წელი.

სრული კატალოგი

ასტრონომიის ისტორიაში ვარსკვლავეთის ობიექტების ყველაზე სრული კატალოგი შეიქმნა ტელესკოპების ტექნიკის ინსტიტუტში, რომელიც აშშ-ის ქალაქ ბალტიმორში მდებარეობს. ელექტროგამომთვლელი მანქანის მეხსიერებაში შენახული კატალოგი შეიცავს ინფორმაციას 18891291 ციური ობიექტის განლაგებისა და ზომის შესახებ. ეს კატალოგი 60-ჯერ დიდია ნებისმიერ ადრე გამოცემულ ცნობარზე. იგი რვა წლის მანძილზე იქმნებოდა. ამერიკელებს მისი წიგნად გამოცემა რომ ეცადათ, კატალოგების ტომების საერთო წონა ერთ ტონაზე მეტი იქნებოდა.

თანადგომა

ათასობით ლტოლვილი შეიკედლა ზუგდიდმა. თვითონაც მრავალგზის გაჭირვებაგამოვლილმა ქალაქმა სტუმართმოყვრულად გაუწოდა ხელი მათ. ზუგდიდელებს ერთი წუთით არ მიუტოვებიათ უყურადღებოდ უსახლკაროდ დარჩენილი თანამემამულენი ეკონომიკური, მატერიალური თუ ჰუმანიტარული დახმარება შესაძლებლობის ფარგლებში თითოეულმა ლტოლვილმა მიიღო.

ამოდგომისათვის, თბილი სიტყვისათვის თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა ვუთხრა ზუგდიდს და ზუგდიდელებს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს (თავმჯდომარე ბ. დარასელია), ქ. ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს ნ. წასიძეს, ექიმებს დ. შენგელიას, მ. კაკულიას, ც. თუთბერიძეს, მ. ქანთარიას, ე. კალანდიას, მედდებს მ. შენგელიას, რ. კუპრეიშვილს, ას. ხარებავას, თ. საბახტარიშვილს, მ. კვარაცხელიას, უ. ბაჟარაძეს, ფ. ქობალიას და მრავალ სხვას, რომელთაც თანადგომა და სიყვარული არ დაიშურეს ჩვენთვის, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილი ადამიანებისთვის.

ირეოდი ფარცვანია,
ლტოლვილი, გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ ლინოტიპისტი.

გაზეთებიდან

რა ღირს დასვენება?

24 დღიანი საგზური სოჭში „პრავდისა“ და „მეტალურგის“ ტიპის ნორმალურ სასტუმროში 160-180 ათასი მანეთი ღირს, გელენჯიკში—140 ათასი. კალინგრადის ოლქში დასვენება და მკურნალობა 80-90 ათასი მანეთი ჯდება. მოსკოვის ოლქში კარგი სანატორიუმის საგზურის ფასი დაახლოებით 100 ათასი მანეთია. ყველაზე ხელსაყრელია დასვენება შუა რუსეთის ზონაში, სადაც შედარებით სიწყნარეა და პროდუქტებიც უფრო იაფია. აქ სანატორიუმის 24 დღიანი საგზური 70-80 ათასი მანეთი ღირს. რაც შეეხება დასასვენებელ სახლებს იქ 12 დღიანი დასვენება სულ რაღაც 20-30 ათასი მანეთი ჯდება.

ეს ყველაფერი უბრალო მოკვდავთათვისაა. ხოლო რაც შეეხება მდიდრებს, ისინი ახლა ყოფილ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მე-4 სამმართველოს კუთვნილ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ისვენებენ. შესაბამისია ფასებიც— მაგალითად, ყირიმის სანატორიუმ „აი—დანილის“ საგზურის ფასი 750 ათასი მანეთია. ამაში რა თქმა უნდა მგზავრობის ღირებულება არ შედის.

„ბანკი“

შემთხვევა

ოპერატიულობა, საზრიანობა

ზუგდიდსა და მის სოფლებში კრიმინოგენური სიტუაცია რომ გაუმჯობესებულია და შედარებით თავისუფლად რომ ვცხოვრობთ, ამას ყველა ჩვენთაგანი გრძნობს. მაგრამ ერთეული გარეწრები თუ გარეწართა ბანდები მაინც არ ისვენებენ და უკულმართი ცხოვრებით ისედაც გამწარებულ ადამიანებს სისხლს უშრობენ.

ამას წინათ ბანდიტები თავს დაესხნენ სოფელ რუხში მცხოვრებ ჯ. ჯანაშიას ოჯახს. ცივი და სასროლი იარაღით აწამეს ოჯახის უფროსი და დიასახლისი. ხმაური გაიგეს მეზობლებმა და მათ შორის გვარდიელმა ა. ომანიძემ, რომელმაც გაიწია საშველად, მაგრამ ერთი კაცი რას გახდებოდა შეიარაღებულ ჯგუფთან?

დაზარალებულები საავადმყოფოში წაიყვანეს. მომხდარის შესახებ კი აცნობეს ქალაქის კომენდანტს ბატონ ბადრი ზარანდიას: კომენდანტმა და მისმა მეომრებმა ჩვეული ოპერატიულობა გამოიჩინეს და შემთხვევის ადგილის სიახლოვეს დაკავეს შეიარაღებული პიროვნება, ბანდიტთა ჯგუფის სხვა წევრების ვინაობა ალბათ მალე გახდება ცნობილი.

რუხელთა სახელით დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ბადრი ზარანდიას და მის თანამებრძოლებს. გვწამს, რომ ისინი მუდამ იქნებიან გაჭირვებაში, ჩავარდნილთა ქომაგი და დამცველები, მუდამ დაუდგებიან ზუგდიდელ მოსახლეობას ერთგულ ფარად.

ე. ნანეიშვილი,
სოფელ რუხის საკრებულოს გამგებელი

ფიქრი

„სპარლამენტო“ შთაბეჭდილებანი

სოციალ-დემოკრატი გ. ბუჩაიძე რომელიც თავის კომუნისტობას მალავს და პოლიტოლოგად თვლის თავს, აცხადებს: ვერ გავიგე, მთავრობა რა პოლიტიკას ატარებსო. არადა, ამის შესაცნობად სულაც არ არის საჭირო იყო პოლიტოლოგი,—რა პოლიტიკას და ანტიეროვნულს!

სახელმწიფოს „მეთაურმა“ კუპონების შემოღება ნაჩქარევად მიიჩნია. მერედა, სად ბრძანდებოდა? ჩინეთში თუ ირანში? არ უნდა განეკვრიტა კუპონების შემოღების ნაგვიანობა თუ ნაჩქარეობა? ახლა ხმამაღლა გაიძახიან ე. წ. პარლამენტში, შესდგეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მეცნიერული მოდელი, ჩამოვიყვანოთო მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომისტი გვიშიანი... ადრე ვინ დაგიშალათ? უშველის კი მისი ჩამოყვანა გაფუჭებულ საქმეს?

ისიც გვესმის, 2,7 მილიარდი მანეთის ენერგომატარებლები, სურსათი და სხვა აუცილებელი საქონელი უნდა იქნას შემოზიდული. რომ ვიარსებოთ, ჩვენი რესურსები მხოლოდ 1 მილიარდი მანეთის საშუალებას გვაძლევსო, დანარჩენი უნდა ვისესხოთ, ან ვინათხოვროთო... ვინ მიიყვანა აქამდე საქმე თუ არა ფაქტობრივმა სელისუფლებამ? რატომ? ალბათ იმიტომ, რომ დაამშიოთ, მათხოვრებად აქციოთ ხალხი და შემდეგ ეხვეწნოთ: ურუსეთოდ ვერ ვძლებთ, არიქა, გვაკვრევინე „ესენგეში“ თავიო...

ცალკე საუბრის თემაა ყოფილი პრემიერ-მინისტრის თ. სიგუასა და „ეროვნული“ ბანკის პრეზიდენტის დ. დვალიშვილის გახმაურებული ურთიერთდაპირისპირების საკითხი. ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს. „მ „საქმეს“ ძალზე ცუდი სუნი უდის... უმოწყალოდ იფლანგება რესურსები, მილიარდები მიედინება საზღვარგარეთ ქართველი ხალხის „საკეთილდღეოდ“... ეტყობა, ყველა „წარჩინებულ-წარმოჩინებული“ გვარიანად ითბობს ხელს.

გახსოვთ, ალბათ, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკური რეფორმების „მამა“, „დემოკრატი“ რ. გოცირიძე რიხით აცხადებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი გამოცხადდეს ერთადერთ საგადასახადო საშუალებად. ხმარებიდან ამოვიღოთ რუსული მანეთი, ეს გაამაგრებს კუპონს. ვადა — 15 დღე...

15 დღე კი არა ბარე სამი თხუთმეტი დღეც გავიდა, მაგრამ ფარატინა ქაღალდს უფრო მეტი ფასი ადევს, ვიდრე კუპონს. ვოცირიძე ერთში კი მართალია: „ხელ-სუფლება ღრმა კრიზისშიაო“ რომ ბრძანა.

გამოსავალი ერთია.: ხელისუფლების „თავიანკუდიანად“ გადადგომა.

ალიკო თოდუა,
ზუგდიდის „მრგვალი მაგიდის“ წევრი.

როგორ ვიქცევით?

კიდევ ერთხელ სანიტარულ წესრიგზე

ქალაქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობის კომბინატს ურთულეს პირობებში უწევს მუშაობა, კერძოდ, განიცდის საწვავ-საცხები მასალების მწვავე დეფიციტს, მუშახელის ნაკლებობას, სათადარიგო ნაწილების უქონლობას და სხვა. მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა კომბინატი მაინც ახერხებს მინიმალური დატვირთვით მუშაობას, რაც გამოიხატება ქალაქის ცენტრალური ნაწილის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებაში.

ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა საგაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ხშირი არ იყოს ზეგიერთი ვაიშუგდიელის მიერ ქალაქის ტერიტორიაზე ნაგვის დაყრის შემთხვევები. ეს განსაკუთრებით ეხება წინაპირობაა. ავტოსადგურის მოედანს, სოხუმისა და ცოტნე-დადიანის ქუჩებს, ბულვარს და სხვა ადგილებს, სადაც ღამის საათებში მოსახლეობას გამოაქვს საოჯახო ნარჩენები და ყრის ავტომანქანების სავალ ნაწილზე. სიტიქიური ნაგავსაყრელები კი, მოგეხსენებათ, ეპიდემიის გაჩენის

თხოვნით მივმართავთ ყველა ჭეშმარიტ ზუგდიდელს: ნუ დაანაგვიანებთ თქვენს მშობლიურ ქალაქს, ნუ გაუშვებთ პირუტყვს უმეთვალყუროდ, ყველგან და ყოველთვის დავიცვათ სანიტარული კულტურა!

გ. გერგედავა,
კეთილმოწყობის კომბინატის მთავარი ინჟინერი.

სარედაქციო კოლეგია

ტელეფონები ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტუდია მერიბ-ოხტავას ქ. №46, 2-22-27, ტირაჟი 100, შეკ. №682